საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში

ელექტრონული ტენდერის საშუალებით ტრენინგის მონაწილეებისათვის კახეთის რეგიონის მასშტაბით საკვების მიწოდების მომსახურების შესყიდვა

(CPV55521200 - საკვების მიწოდების მომსახურება)

(წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და “გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერი ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგანტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე

ქ. თბილისი
2016 წელი

სარჩევი

1	ტექნიკური დოკუმენტაცია	3
2	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	6
3	დამატებითი ინფორმაცია	12
4	დანართი N1	13
5	დანართი N2	14
6	დანართი N3	15

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტი:

1.1 პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფინანსების ფარგლებში კახეთის რეგიონის მასშტაბით შემსყიდველის მიერ მითითებული ლოკაციებზე საკვების მიწოდების მომსახურება. საკვების მენიუ შედგება ორი შემდეგი შემადგენლობის ლანჩბოქსისგან:

არასამარხვო ლანჩბოქსი №1 უნდა მოიცავდეს შემდეგს:		**ლანჩბოქსი №1-ის რაოდენობა**
1	სენდვიჩი, შემადგენლობა: სენდვიჩის პური, ყველი, ლორი, სალათის ფურცლები	2046
2	კრუასანი (შიგთავსის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)	
3	ორცხობილა (კრემის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)	
4	ჩაი არომატების გარეშე, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)	
5	ყავა ხსნადი, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)	
6	შაქარი (არანაკლებ 4 პაკეტი)	
7	არაგაზირებული სასმელი წყალი (არანაკლებ 0,5ლ, პლასტმასის ბოთლი)	
8	აქსესუარები: კონტეინერი - თეთრი ფერის, გაუმჭვირვალე. კოვზი - 1 ცალი, ერთჯერადი ჭიქა - 1 ცალი (ჭიქის მასალა - მუყაო, დანარჩენი აქსესუარების მასალა - პლასტმასი).	
სამარხვო ლანჩბოქსი №2 უნდა მოიცავდეს შემდეგს:		**ლანჩბოქსი №2-ის რაოდენობა**
1	ლობიანი, ღვეზელის სახით (არაფენოვანი), არანაკლებ 100 გრ. რაოდენობა - 2 (ორი) ცალი.	2046
2	კრუასანი (შიგთავსის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)	
3	ორცხობილა (კრემის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)	
4	ჩაი არომატების გარეშე, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)	
5	ყავა ხსნადი, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)	
6	შაქარი (არანაკლებ 4 პაკეტი)	
7	არაგაზირებული სასმელი წყალი (არანაკლებ 0,5ლ, პლასტმასის ბოთლი)	
8	აქსესუარები: კონტეინერი - თეთრი ფერის, გაუმჭვირვალე. კოვზი - 1 ცალი, ერთჯერადი ჭიქა - 1 ცალი (ჭიქის მასალა - მუყაო, დანარჩენი აქსესუარების მასალა - პლასტმასი).	

1.2 აუცილებელი პირობა:

1.2.1 მისაწოდებელი კერძები და კვების პროდუქტები უნდა იყოს ვარგისი, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს;

1.2.2 ერთჯერადი ყავის, ჩაისა და შაქრის ვარგისიანობის ვადა მიწოდების პერიოდში უნდა იყოს ვალიდური;

1.2.3 აქსესუარები უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალისგან, არ უნდა დეფორმირდეს საკვების მიღების დროს და ასევე ცხელ წყალთან ზემოქმედების შედეგად;

1.2.4 კონტეინერი უნდა იყოს დამზადებული ქარხნული წესით, ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალისგან, ჰერმეტულად დახურული, თეთრი ფერის, გაუმჭვირვალე. კონტეინერში ზემოაღნიშნული კერძები და პროდუქტები უნდა განთავსდეს ერთმანეთისგან განცალკავებულად. შიგთავსი არ უნდა დაზიანდეს ტრანსპორტირებისას. შემსყიდველი უფლებამოსილია არ ჩაიბაროს დაზიანებული ლანჩბოქსი.

1.2.5 ლანჩბოქსების რაოდენობები სავარაუდოა და შესაძლებელია შეიცვალოს, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წინასწარ, წერილობითი დაკვეთის დროს.

1.2.6 საკვების მიწოდების კონკრეტული თარიღები, ლანჩბოქსის სახეობა (სამარხო/არასამარხო) და შესაბამისი კონკრეტული რაოდენობები ლოკაციების მიხედვით, მიმწოდებელს ეცნობება შემსყიდველის მიერ წინასწარ, წერილობითი დაკვეთის განხორციელების დროს.

1.2.7 საკვების მიწოდების ადგილზე, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ გაფორმდება საკვების გადაცემის ინსპექტირების აქტი, რომელიც წარმოადგენს მიღება-ჩაბარების საფუძველს, აღნიშნული ხელმოწერილი ინსპექტირების აქტის გადაცემა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ევალება მიმწოდებელს.

1.2.8 შერჩევა-შეფასების ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს პრეტენდენტის მონაცემების შემოწმებას მსოფლიო ბანკისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მონაცემთა ბაზების მიხედვით. აღნიშნულ ბაზებში პრეტენდენტის შესახებ ნეგატიური ჩანაწერის არსებობა წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს.

2. მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ წერილობითი დაკვეთით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. საკვები შესაბამის ლოკაციაზე მიწოდებულ უნდა იქნას მომსახურების გაწევის დღის არაუგვიანეს დილის 12:00 საათამდე.

3. მომსახურების გაწევის ადგილი: კახეთის რეგიონის მასშტაბით შემსყიდველის მიერ მითითებული ლოკაციები (იხ. დანართი №3). მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ლანჩბოქსების ტრანსპორტირება შესაბამისი ლოკაციის კონკრეტული სართულის ჩათვლით (აღნიშნული ინფორმაცია მიმწოდებელს ეცნობება წინასწარ შემსყიდველის მიერ).

4. დაფინანსების წყარო: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით ინიცირებული მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი: 32 02 02 03).

5 სატენდერო წინადადების ფასი:

5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის ჩათვლით დღგ-ს გარდა. თუ ტენდერში გაიმარჯვებს დღგ-ს გადამხდელი კომპანია, მასთან ხელშეკრულება გაფორმდება დღგ-ს თანხის გათვალისწინებით.

5.2 წარმოდგენილი ღირებულება უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

შენიშვნა:
„გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-2[1] პუნქტის შესაბამისად, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ***ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დასაბუთდეს აუდიტის დასკვნით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.*** პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მეშვეობით წარმოადგინოს ფასწარმოქმნის ადექვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

6. ანგარიშსწორების პირობები:
6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
6.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

7. ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ განიხილება;

8. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:
8.1 რეკვიზიტები (დანართი №1);
8.2 გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი №2);

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № --- (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი ------ ---------- 2017 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **გიორგი მაჩაბლის** სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: ----------, მისი ---------- სახით ;
მისამართი: ----------;
საიდენტიფიკაციო კოდი: ----------;
საბანკო რეკვიზიტები: ----------, ბანკის კოდი:, ა/ა:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულებისათვის;
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვას;
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას;
1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7. „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
1.8. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
1.9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებილების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებილების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

შემსყიდველის მიერ ჩატარებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში (სატენდერო განცხადების N SPA---) გაიმარჯვა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებამ, რომლის თანახმად,

მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ----------
------მომსახურება.

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“) შეადგენს _____.

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად)

3.3 **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრ-ის ---------- ფარგლებში.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს და ნორმებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება - ხელშეკრულების გაფორმებიდან --------- ჩათვლით;

5.2 მომსახურების გაწევის ადგილი – .

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.5 მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უფლებამოსილი პირი (პირები). მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების დღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;

7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2 მუხლი აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება შემსყიდველის მიერ ხარისხობრივი შემოწმების და მოწონების შემდეგ და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს „შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;
11.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ----------, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ქვეკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორის (ქვეკონტრაქტორების) აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვეკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). ქვეკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით;

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
13.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
13.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთახმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 14. ფორსმაჟორი.

14.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია ----------წლის ---------- ჩათვლით.

მუხლი 16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

17.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.9 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

17.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

17.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 18. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	----------
დირექტორი	----------

დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლიათ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ტენდერის შესაბამის ველში კითხვა-პასუხის მეშვეობით, ასევე სატენდერო კომისიის აპარატში მიმართვის შემთხვევაში შემდეგი საკონტაქტო პირისგან: სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მისამართი: ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №1, III სართული, საკონტაქტო პირი: მაია კვარაცხელია, მობ: 577 15 80 81, ელ. ფოსტა Mkvaratskhelia@tpdc.ge

დანართი №1

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
იურიდიული მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ტელეფონის ნომერი:	
ელექტრონული მისამართი:	
მომსახურება ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი----------

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება ——————————————————————————————

	ლანჩბოქსი #1 (არასამარხვო) უნდა მოიცავდეს შემდეგს:	ლანჩბოქსი#1-ის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე)	საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე)
1	სენდვიჩი, შემადგენლობა: სენდვიჩის პური, ყველი, ლორი, სალათის ფურცლები	2046		
2	კრუასანი (შიგთავსის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)			
3	ორცხობილა (კრემის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)			
4	ჩაი არომატების გარეშე, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)			
5	ყავა ხსნადი, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)			
6	შაქარი (არანაკლებ 4 პაკეტი)			
7	არაგაზირებული სასმელი წყალი (არანაკლებ 0,5ლ, პლასტმასის ბოთლი)			
8	აქსესუარები: კონტეინერი - თეთრი ფერის, გაუმჭვირვალე. კოვზი - 1 ცალი, ერთჯერადი ჭიქა - 1 ცალი (ჭიქის მასალა - მუყაო, კოვზი - პლასტმასი).			
	ლანჩბოქსი #2 (სამარხვო) უნდა მოიცავდეს შემდეგს:	**ლანჩბოქსი#2-ის რაოდენობა**	**ერთეულის ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე)**	**საერთო ღირებულება (ლარი, დღგ-ს გარეშე)**
1	ლობიანი, ღვეზელის სახით (არაფენოვანი), არანაკლებ 100 გრ. რაოდენობა - 2 (ორი) ცალი.	2046		
2	კრუასანი (შიგთავსის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)			
3	ორცხობილა (კრემის გარეშე, არანაკლებ 100 გრ.)			
4	ჩაი არომატების გარეშე, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)			
5	ყავა ხსნადი, ერთჯერად პაკეტში (არანაკლებ 1 ცალი)			
6	შაქარი (არანაკლებ 4 პაკეტი)			
7	არაგაზირებული სასმელი წყალი (არანაკლებ 0,5ლ, პლასტმასის ბოთლი)			
8	აქსესუარები: კონტეინერი - თეთრი ფერის, გაუმჭვირვალე. კოვზი - 1 ცალი, ერთჯერადი ჭიქა - 1 ცალი (ჭიქის მასალა - მუყაო, დანარჩენი აქსესუარების მასალა - პლასტმასი).			
			სულ ჯამი	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი ----------

გეგმა-გრაფიკი
(ცხრილში მოცემულია საკვების მიწოდების ლოკაციები და ლანჩბოქსის ჯამური რაოდენობა)

№	რაიონი	ჯამური რაოდენობა	საკვების მიწოდების ლოკაცია	საკვების მიწოდების ლოკაციის მისამართი
1	ახმეტა	**4092 ცალი ლანჩბოქსი** (საკვების მიწოდების კონკრეტული თარიღები, ლანჩბოქსის სახეობა (სამარხო/არასამარხო) და შესაბამისი კონკრეტული რაოდენობები ლოკაციების მიხედვით, მიმწოდებელს ეცნობება შემსყიდველის მიერ წინასწარ, წერილობითი დაკვეთის განხორციელების დროს.	სსიპ - ქალაქ ახმეტის №1 საჯარო სკოლა	ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა N56
2	გურჯაანი		სსიპ - ქალაქ გურჯაანის №1 საჯარო სკოლა	გურჯაანი, ნონეშვილის ქ. N18
3	დედოფლის წყარო		სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა	დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ.51
4	თელავი		სსიპ - ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლა	თელავი, ერეკლე მეორის ქუჩა N19
5	ლაგოდეხი		სსიპ - ქალაქ ლაგოდეხის №1 საჯარო სკოლა	ლაგოდეხი, რუსთაველის ქუჩა N2
6	საგარეჯო		სსიპ - ქალაქ საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა	დავით აღმაშენებლის ქ.#58
7	სიღნაღი		სსიპ - ავლიპ ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა	სიღნაღი სარაჯიშვილის ქუჩა N-13
8	ყვარელი		სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის N1 საჯარო სკოლა	ყვარელი, ჭავჭავაძის ქ.N69

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი----------